ᲓᲦᲔᲘᲜᲓᲦᲔᲠᲫᲔᲚᲘ ᲛᲔᲗᲝᲠᲛᲔᲢᲘ

ᲑᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

კომუნისტი

ᲡᲐᲥ. Კ. Პ. (ᲑᲝ) ᲪᲔᲜᲢᲠ. ᲓᲐ ᲗᲑ. ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲥ. ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲣᲚᲘ

ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ: რედაქტორის—14—76, რედ. მოვალეების—52—17, საბეღურნოსი 10—58, მდ. კანტორის—8—31.

ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 2 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ 1932 Წ. № 178 (3432)

ჩაისათვის ნიადაგის მომზადების გეგმა ვადაზე ადრე უნდა შესრულდეს

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი გამლილ ბრძოლას აწარმოებს ჩაის კულტურის გავითარებისათვის ჩვენში. ეს ბრძოლა მიმდინარეობს საკავშ. კ. პ. (ბ) ცკ-ის 1931 წლის 31 ოქტომბრის დადგენილების საფუძველზე. ამ მემართულებით ჩატარებულ მთელ სერიოზულ ღონისძიებათა შედეგად ჩვენ გვაქვს საგრძნობი წარმატებები. შეტანილი იქნა ზუსტი გეგმიანობა ჩაის ვაგივითარების საქმეში, გაუმჯობესდა ნიადაგის მოშზადების ხარისხი და ტემპები, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ჩაის არსებული პლანტაციის დაცვას, გაძლიერდა ჩაის რაიონების სურსათ - სანოვაგითა და სამრეწველო საქონლით მომარაგება, მკვიდრი ნიადაგზე იქნა დაყენებული ჩაის ნედლი ფოთლის ადგილობრივ გადამუშავების საქმე და შეიქმნა ჩაის თესლის საკუთარი ბაზა, რასაც უდიდესი პოლიტიკური და სამეურნეო მნიშვნელობა აქვს ჩაის მეურნეობის ზრდის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის თვალსაზრისით.

საერთოდ დამაკმაყოფილებლად იქნა შესრულებული ჩაისათვის ნიადაგის მომზადების და ახალი პლანტაციების გაშენების ის გეგმები, რომელიც დასახული იყო 1932 წლის პირველი ნახევრისათვის. საწარმოებლის გეგმა შესრულებულია 93 პროცენტით, ხოლო ნიადაგის მომზადების გეგმა საბჭოთა მეურნეობებმა გადაჭარბებით შეასრულეს.

ყველა ეს წარმატებები უნდა ახასიათებს იმით, რომ გაძლიერდა ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და საკოლმეურნეო ორგანიზაციების ყურადღება ჩაის კულტურის განვითარების კონკრეტულ ამოცანებისადმი, თვალსაჩინოდ განმტკიცდნენ ჩაის საბჭოთა და კოლექტიური მეურნეობანი, საგრძნობლად გაუმჯობესდა „საქართველოს ჩაი“-ს ოპერატიული ხელმძღვანელობა ადგილებისადმი. პრაქტიკულად დადასტურდა ჩაის კულტურის უდიდესი სამეურნეო ეფექტიანობა.

თუ ჩაის კამპანიის მიმდინარეობას ამჟამად მიუდგებით იმ ცნობების მიხედვით, რომელნიც სხვადასხვა საწარმოებიდან შემოდის, უნდა დავასკვნათ, რომ 1932 წლის გეგმების შესრულებისათვის ბრძოლა აშკარად შესუსტებულია. საბჭოთა მეურნეობებმა და კოლმეურნეობებმა, რომელთაც საერთოდ ბრძოლის თვალსაზრისით

პარტიული მშენებლობა

შევქმნათ მუშა-პროპაგანდისტთა მუდმივმოქმედი კადრი

მივაღწიოთ პარტიული სწავლების მაღალ ხარისხს

„კლენუმი ყველა პარტორგანიზაციების წინაშე სახავს ამოცანას—უახლოეს ვადაში მიაღწიონ გადამწყვეტ გარდატეხას პარტიის ყველა წევრთა და კანდიდატთა მარქსისტულ-ლენინურ აღზრდის და იდეოლოგიურ ფრონტზე პარტიის ხაზიდან ყოველგვარ გადახრებთან დაუნდობლეს ბრძოლის საფუძველზე".

ამ მითითების ნამდვილად განხორციელება დიდმაა დამოკიდებული პარტგანათლების ქსელის მუშაობის რაციზობრივი ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებაზე, პროპაგანდისტთა კადრების მომზადებაზე და მათი როლის შემდგომ გაძლიერებაზე.

უნდა ითქვას, რომ პოლიტსკოლების მომზადებული პროპაგანდისტები უზრუნველყოფის საქმეში ჩვენ ჯერ კიდევ არა დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა გვაქვს. ყველა პროპაგანდისტი არ შეეფერება თავის დანიშნულებას. არის შემთხვევები, როდესაც ზოგიერთი პროპაგანდისტები, ნაცვლად იმისა, რომ განუმარტონ მხმენელებს პარტიის და ხელისუფლების პოლიტიკა, ეხმარებოდნენ მათ მარქსისტულ-ლენინური თეორიის დაუფლების საქმეში,—ზოგჯერ თვითონ ვერ ერკვევიან საკითხებში და არა სწორ პასუხს იძლევიან მოცემულ შეკითხვებზე. მაგ., პროპაგანდისტი მელქაძე (ვანი) მხმენელებს ასწავლიდა, რომ „კომუნიზმის დროს აღარ იქნება მოწესრიგებული ცხოვრება" და ხ. პროპაგანდისტი ბრონზოვინი (საქვავთი) კი მხმენელებს არწმუნებდა: „მარქსიზმი არის მოძღვრება პროლეტარიული რევოლიუციის შესახებ ერთ ქვეყანაში, ხოლო ლენინიზმი—მთელ მსოფლიოს მასშტაბითო". ყველაფერი ეს იმას მოწმობს რომ ზოგიერთი პროპაგანდისტს თვით რიული მომზადების დონე ძალზე დაბალია, რაც უარყოფით გავლენას ახდენს პოლიტსკოლების მუშაობაზე.

საჭიროა გეგმიანად და უფრო სერიოზულად მოვკიდოთ ხელი სათანადო კვალიფიკაციური პროპაგანდისტების შექმნას ვინაიდან: „ჩვენი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა გავაუმჯობესოთ საგაგიტაციო მასიური მუშაობის ხარისხი, მთელი ჩვენი აღმშრდელობითი მუშაობის ხარისხი, ამ მუშაობაში ფორმალიზმის ბრძოლის კლასიხის ახალი შეხვეწა, სოციალისტურად აღვზარდოთ ჩვენ ახალგაზრდობა, ახალგაზრდობა, რომელიც ჩატარებული იქნა და უხლაც მიმდინარეობს ამ მიმართულებით, ჯერ კიდევ ვერ უზრუნველყოფს პარტგანათლების საქმეში დასახული ამოცანების შესრულებას.

31 ოქტომბრის დადგენილებაში ს.კ. კ.პ. (ბ) ცკ.ის გადაჭრით მოუთხოა ამიერ-კავკასიის პარტორგანიზაციებს, რომ: მათ „თავიანთ ყურადღების ცენტრში მოაქციონ მუშაობა მთელი პარტორგანიზაციის იდეიური პოლიტიკურ დონის ამაღლებისათვის ბოლშევიკური თვითკრიტიკის ბაზაზის, პარტიის წევრ-კანდიდატთა მარქსისტულ-ლენინური აღზრდის და იდეოლოგიურ ფრონტზე პარტიის ხაზიდან ყოველგვარ გადახრებთან დაუნდობლეს ბრძოლის საფუძველზე".

როგორც თათბირზე გამოირკვა, პარტორგანიზაციის ცალკე უყრედებს თვალსაჩინო მიღწევები აქვს. საშემოდგომო-საზამთრო პარტ. სწავლების საქმეში, მხოლოდ საზაფხულო პოლიტსკოლების და ამ სკოლების მომზადებული მუშა-პროპაგანდისტებით უზრუნველყოფის დარგში ვერ არის დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა.

ძირეული უყრედები, უმრავლეს შემთხვევებში ზემდგომი პარტორგანიზაციები დან „ელოდებიან" პროპაგანდისტებს და არ ზრუნავენ ძირეული პარტაქტივის შექმნისა და მათი გამოყენებისათვის.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ საზაფხულო პოლიტსკოლები ბევრ ადგილას ჩამოყალიბებულია, მაგრამ მათ ჯერ კიდევ არ დაუწყიათ მეცადინეობა. პოლიტსკოლებს არ აქვთ სათანადო ლიტერატურა და მეთოდიური პროგრამები; ძალზე დაბალია ზოგიერთი პროპაგანდისტის პოლიტიკური მომზადების დონე, არა დამაკმაყოფილებლად არის გაშლილი საკანდიდატო პოლიტწრეები, მასში სუსტადაა ჩაბმული პარტკანდიდატები, დაბალია სწავლების ხარისხი, სუსტია სასწავლო დისციპლინა, ზოგიერთი რაიკომების კულტურისა და პროპაგანდის განყოფილებები ძირეული უყრედებისადმი პარტგანათლების დარგში ფორმალური ხელმძღვანელობით კმაყოფილდებიან და სხვ.

ამხ. სტალინის ხსნ. რაიონში საშემოდგომო-სზამთრო პარტიული სწავლების პერიოდში პოლიტსკოლებში ჩაბმული იყო —5.107 კაცი. პარტგანათლების ქსელში პარტიის წევრები ჩაბმული იყო—74 პროცენტით, კანდიდატები კი 90 პროცენტით (925 კაცი) რაიონში სულ გასწავლა იყო—147 სკოლა აქედან მარტო პარტკანდიდატებისათვის მოეწყო—35 პოლიტსკოლა. საშემოდგომო-საზამთრო პარტგანათლების ქსელიდან სულ გამოშვებულ იქნა—720 კაცი, რაც პარტგანათლების ქსელში ჩაბმულთა—7 პროცენტს უდრის.

რით უნდა ავხსნათ ასეთი მეტად არადამაკმაყოფილებელი შედეგი?

ეს იმის მიზეზია, რომ სტალინის სახ. რაიკომის კულტპროპაგანყოფილებამ ძირეული პარტორგანიზაციები ვერ უზრუნველყო ცოცხალი, ოპერატიული ხელმძღვანელობით ვერ მიაწოდა მათ სათანაო ლიტერატურა, სასწავლო პროგრამები, მოამზადებული პროპაგანდისტები და სხვ.

პარტგანათლების არც საზაფხულო ქსელის გაშლაშია სახარებელი მდგომარეობა. ასე მაგალითად მაუდის ფაბრიკაში დღეს მე არ მოიყვანათ პოეტიწრეები, ასევითვე მდგომარეობაა თამბაქოს ფაბრიკა „პროლეტარში", ხოლო თამბაქოს მეორე ფაბრიკაში მართალია ჩამოყალიბებულია პოლიტსკოლები, მაგრამ იქ მეცადინეობა ჯერ კიდევ არ დაუწყიათ პ. სკოლების ხელმძღვანელების უყურადღებობის გამო.

ორჯონიკიძის სახ. რაიონში პარტგანათლების ქსელში საშემოდგომო-საზამთრო პერიოდში ჩაბმული იყო სულ 2.605 კაცი, აქედან გამოშვებულ იქნა—7.671, პოლიტსკოლებს სხვადასხვა მიზეზით ჩამოშორდა—934 კაცი.

ამჟამად რაიონში გახსნილია—33 საკანდაცო პოლიტსკოლა აქედან ქართულ ენაზეა—20 და რუსულ—10. მოწყობილია აგრეთვე პროპაგანდისტთა კურსები (2), ჭიათურის პოლიტსკოლებში მეცადინეობა უკვე დაწყო და იგი დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს.

პარტგანათლების ქსელი უზრუნველყოფილია როგორც სახელმძღვანელო ლიტერატურით, ისე მეთოდიური პროგრამებით. მხოლოდ პროპაგანდისტები არ არის საკმარისი რაოდენობით.

ლენინის რაიონში საშემოდგომო-საზამთრო პარტიული სწავლების გეგმა გადაჭარბებით შესასრულა, ხოლო საზაფხულო სწავლებაში გარდატეხა ჯერ კიდევ არაა მიღწეული.

რაიონი დიდ ნაკლებობას განიცდის პროპაგანდისტების მხრივ. გახსნილი 118 პოლიტწრიდან მეცადინეობს მხოლოდ 40 პოლიტსკოლა, დანარჩენში მეცადინეობა არ დაწყებულა პროპაგანდისტთა უყოლობის გამო.

აღნიშნულ სკოლებში, სადაც დაიწყო მეცადინეობა სწავლების ხარისხი ძალზე დაბალია, რადგან პროპაგანდისტებად გამოყენებულია დაბალი კვალიფიკაციის მქონე ამხანაგები. ზოგიერთი ძირეული უყრედები და მისი ხელმძღვანელი ამხანაგები პოლიტსკოლებში ვერ უზრუნველყოფენ ნორმალური მუშაობის საქმეს, ასე მაგალითად 26 კომუნარის სახელობის მექანიკური ქარხნის პარტკოლექტივის მდივანმა ამხ. პუგაჩოვმა ასე განაცხადა: „ხანდაზმულ პროპაგანდისტებს არ გამომიზავნიან პოლიტსკოლებში მეცადინეობას არ დავიწყებ"-ო.

მართალია, რაიონში მოწყობილია მუშა-პროპაგანდისტთა კურსები, მაგრამ ამ კურსების მეცადინეობა არადამაკმაყოფილებელია; კურსების მეცადინეობას ხელი ეშლება იმით, რომ არ არის საჭირო თანხები;

რაისაბჭოს მიცემული ქონდა წინადადება პარტგანათლების საჭიროებისათვის თანხების გაღების შესახებ, მაგრამ ამას ჯერ არავითარი ნაყოფი არ გამოუღია.

ტრამვაის წარმოებაში გახსნილია—7 პოლიტწრე, მეცადინეობა დაწყებულ იქნა—21 ინსისიდან. პოლიტსკოლებში სულ გაერთიანებულია—312 კაცი, აქედან პარტების წევრია—103, კანდიდატი—115 და დანარჩენი უპარტიო. საკანდიდატო პოლიტსკოლა ჩამოყალიბებულია 3.

8 ივნისს ტრამვაის პარტორგანიზაციის მიერ მოწვეულ იქნა პოლიტსკოლის მსმენელთა თათბირი, იმის გამოსარკვევად თუ რა უშლიდა ხელს პოლიტსკოლების მეცადინეობის ნორმალურად წარმართვის საქმეს.

გამოირკვა, რომ პოლიტსკოლების ზოგიერთი ხელმძღვანელები მიცემული შეკითხვაზე ვერ იძლევიან სწორ ამომწურავ პასუხს, ხდება ისიც, რომ პროპაგანდისტი მიღებულ შეკითხვაზე პასუხის გაცემას „შემდეგი" მეცადინეობისათვის შეინახავს ხოლმე. ეს კი სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს პოლიტსკოლების მსმენელებში.

პოლიტსკოლებში საზაფხულო სწავლება უკვე დაწყებულია, დღემდე მეცადინეობა 4-ჯერ ჩატარდა, მაგრამ სახელმძღვანელო ლიტერატურის და მეთოდიური პროგრამების უქონლობის გამო ამ საქმეს ხელი ეშლება.

ლენინის რაიონმა სამშემოდგომო-საზამთრო პარტიული სწავლების გეგმა გადაჭარბებით შეასრულა, ხოლო საზაფხულო სწავლებაში გარდატეხა ჯერ კიდევ არაა მიღწეული.

რაიონი დიდ ნაკლებობას განიცდის პროპაგანდისტების მხრივ. გახსნილი 118 პოლიტწრიდან მეცადინეობს მხოლოდ 40 პოლიტსკოლა, დანარჩენში მეცადინეობა არ დაწყებულა პროპაგანდისტთა უყოლობის გამო.

აღნიშნულ სკოლებში, სადაც დაიწყო მეცადინეობა სწავლების ხარისხი ძალზე დაბალია, რადგან პროპაგანდისტებად გამოყენებულია დაბალი კვალიფიკაციის მქონე ამხანაგები. ზოგიერთი ძირეული უყრედები და მისი ხელმძღვანელი ამხანაგები პოლიტსკოლებში ვერ უზრუნველყოფენ ნორმალური მუშაობის საქმეს, ასე მაგალითად 26 კომუნარის სახელობის მექანიკური ქარხნის პარტკოლექტივის მდივანმა ამხ. პუგაჩოვმა ასე განაცხადა: „ხანდაზმულ პროპაგანდისტებს არ გამომიზავნიან პოლიტსკოლებში მეცადინეობას არ დავიწყებ"-ო.

მართალია, რაიონში მოწყობილია მუშა-პროპაგანდისტთა კურსები, მაგრამ ამ კურსების მეცადინეობა არადამაკმაყოფილებელია; კურსების მეცადინეობას ხელი ეშლება იმით, რომ არ არის საჭირო თანხები;

რაისაბჭოს მიცემული ქონდა წინადადება პარტგანათლების საჭიროებისათვის თანხების გაღების შესახებ, მაგრამ ამას ჯერ არავითარი ნაყოფი არ გამოუღია.

ტრამვაის წარმოებაში გახსნილია—7 პოლიტწრე, მეცადინეობა დაწყებულ იქნა—21 ინსისიდან. პოლიტსკოლებში სულ გაერთიანებულია—312 კაცი, აქედან პარტების წევრია—103, კანდიდატი—115 და დანარჩენი უპარტიო. საკანდიდატო პოლიტსკოლა ჩამოყალიბებულია 3.

8 ივნისს ტრამვაის პარტორგანიზაციის მიერ მოწვეულ იქნა პოლიტსკოლის მსმენელთა თათბირი, იმის გამოსარკვევად თუ რა უშლიდა ხელს პოლიტსკოლების მეცადინეობის ნორმალურად წარმართვის საქმეს.

გამოირკვა, რომ პოლიტსკოლების ზოგიერთი ხელმძღვანელები მიცემული შეკითხვაზე ვერ იძლევიან სწორ ამომწურავ პასუხს, ხდება ისიც, რომ პროპაგანდისტი მიღებულ შეკითხვაზე პასუხის გაცემას „შემდეგი" მეცადინეობისათვის შეინახავს ხოლმე. ეს კი სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს პოლიტსკოლების მსმენელებში.

საზაფხულო სწავლება უკვე დაწყებულია, დღემდე მეცადინეობა 4-ჯერ ჩატარდა, მაგრამ სახელმძღვანელო ლიტერატურის და მეთოდიური პროგრამების უქონლობის გამო ამ საქმეს ხელი ეშლება.

რაიონი დიდ ნაკლებობას განიცდის პროპაგანდისტების მხრივ. გახსნილი 118 პოლიტწრიდან მეცადინეობს მხოლოდ 40 პოლიტსკოლა, დანარჩენში მეცადინეობა არ დაწყებულა პროპაგანდისტთა უყოლობის გამო.

რა არის საჭირო

თბილისის პარტორგანიზაციაში საზაფხულო პარტიული სწავლების უმაღლეს საფეხურზე აყვანისათვის უპირველესად ყოველივე საჭიროა:

სადაც არ აქვთ, შედგენილ იქნას გეგმები კონკრეტული მაჩვენებლებით. თუ სად რამდენი პოლიტსკოლა უნდა გაიხსნას და მასში რამდენი ამხანაგი უნდა იქნას გაერთიანებული.

გადაჭრით გაუმჯობესდეს კონკრეტული, ცოცხალი ხელმძღვანელობა ძირეულ უჯრედებზე რაკომების კულტპროპგანყოფილებათა მხრივ.

პარტგანათლების ქსელზე უკეთესი ლიტერატურული მომსახურებისათვის ყოველ მხრივ გაუმჯობესდეს რაკომის არსებული პარტკაბინეტების მუშაობა.

მთელი ყურადღება მიექცეს აღრიცხვას თავის სიმაღლეზე დაყენებას, რისთვისაც პოლიტსკოლების მუშაობისათვის შემოღებულ იქნას „ხაპკონტროლო რვეულები".

ძირეულმა უჯრედებმა მეტი ყურადღება მიაქციონ მუშა-პროპაგანდისტების ადგილობრივად გამოსახვის და მათი გამოყენების საქმეს. გააძლიერონ ყოველდღიური ხელმძღვანელობა პოლიტგანათლების ქსელზე.

სერიოზული ყურადღება მიექცეს პარტიული სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას და ფართოდ იქნას გაშლილი სოციშეჯიბრება-დამკვრელობა და ჩამორჩენილთა სახოგადოებრივ ბუქსირზე აყვანის პრაქტიკა.

საჭიროა ამ დეფექტების გამოსწორებას სასწრაფოდ მიექცეს სერიოზული ყურადღება. სურამის პარტაქტივის კურსებზე სასწავლო დისციპლინა თავის სიმაღლეზე უნდა იქნას დაყენებული.

ნ. ზავრიაშვილი.

როგორ სწარმოებს მეცადინეობა

(შავგლისი)

მანგლისის პარტაქტივის კურსებზე ამჟამად მეცადინეობს—400-დე მსმენელი, მეცადინეობა სწარმოებს ქართულ, რუსულ, თათრულ, სომხურ და გერმანულ ენებზე. მთელ კურსებზე 21 ჯგუფია, რომელებშაც შემოერთებულია გაკეთილების ორალური დამოშავება, რაც საუკეთესო მეთოდათ უნდა ჩაითვალოს. კურსები უზრუნველყოფილია ლიტერატურით და მეცადინეობა ნორმალურად მიმდინარეობს.

ჯგუფებსა და რგოლებს შორის გაშლილია შრომის სოციალისტური ფორმები და ძლიერდება ჩვენი წოთელი არმია, მისი პოლიტიკური და საბრძოლო უნარი.

წოთელი არმიის ბრძოლის უნარის გაძლიერების საქმეში უდიდესი მნიშვნელობა აქვთ არმიის სასამართლო ორგანოებსა და პროკურატურას, ისინი ბოლშევიკურად ებრძვიან რევოლიუციონური კანონიერების განსამტკიცებლად და გასაძლიერებლად წოთელი არმიის რიგებში.

ჩვენს წინაშე მეტად საპასუხისმგებლო ამოცანები სდგას. უნდა მივაღწიოთ გარდატეხას მუშაობაში. ამერ-კავკასიაში ზოგიერთი ადგილობრივი ორგანოების მხრით ადგილი აქვს მთელ რიგ უმსგავსო დამოკიდებულების ფაქტებს წოთელ არმიელთა ოჯახების მიმართ. აღძრულია სისხლის სამართლის საქმე იმ პასუხისმგებელ მუშაკების წინააღმდეგ, რომლებიც ბიუროკრატიულად და უსულგულოდ ეკიდებიან წოთელ-არმიელთა საჭიროებს, გულგრილობას იჩენენ წოთელარმიელთა შეღავათების გატარებაში. პროკურატურის ორგანოები ჯერ კიდევ ვერ აქცევენ სათანადო ყურადღებას თავდაცვის საკითხებს, მუშურ - გლეხურ წოთელი არმიის განმტკიცების საკითხებს (სამხრეთ-ოსეთი, ყვარელის, ლენქორანის, ვაგაშენატეხის, ბედელებარის და სხვა რაიონები).

კონკრეტულად რაში ვლგოკავრის მუშაობის დეფექტები?

1. სუსტია სასამართლოს ორგანოებიდა პროკურატურის მონაწილეობა გასაწვევი კონტინგენტის აღრიცხვის საქმეში.

2. ადგილი აქვს გულგრილ დამოკიდებულებას ტერშენებლობისადმი.

3. რაიონებში სუსტად სწარმოებს გრძოლა ტერშეკერებზე გამოუცხადებლობის წინააღმდეგ.

4. ადგილი აქვს დანაშაულებრივ დამოკიდებულებას წოთელარმიელთა და მათი ოჯახების საჭიროებისადმი, რაც გამოიხატება ამ საჭიროების გამოძიების ბიუროკრატიულად გაჭიანურებაში (განსაკუთრებით აზერბეჯანის რაიონებში: ჯაბრაილი, ლენქორანი, კარაგინის, დერბენდი, დიზაჩინი, აგდამი, გეოკჩა, საგირ-ახადი).

5. ადგილი აქვს წოთელარმიელთა შეღავათების დარღვევას სხვადასხვა გადახადების დარგში (ყვარელის, დიღომის, სამგორეთის რაიონები და სამხრეთ-ოსეთი) და სამხედრო მოსახსახურეთათვის მინიჭებულ საბინაო შეღავათების დარღვევის შემთხვევებს (თბილისი, ბორჯომი).

6. დღემდე გრძელდება პარტიისა და მაუავრობის დირექტივების „მომემარცხენო" დამახინჯებები, რაც გამოიხატება სახოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების დროს წოთელარმიელთა მეურნეობებისათვის მტკიცე დაკალებათა მიცემაში (ცხინვალი, გურჯაანი, ყვარელი, ამბროლაური, სიღნაღი).

ამას წინად ამიერ-კავკასიის პროკურატურასთან, რესპუბლიკების პროკურატურების მონაწილეობით, შეიქმნა თათბირი ჯგუფის სახით, რომელსაც დაევალა ზემოხსენებულ დეფექტებზე — პარტიის და მთავრობის დირექტივების დანაშაულებრივ დამახინჯებების ფაქტებზე. თათბირმა აღნიშნა, რომ სამოქალაქო პროკურატურის ორგანოები არადამაკმაყოფილებლად აწარმოებენ ბრძოლას იმისათვის, რომ საბჭოთა აპარატებმა შეასრულონ ის ამოცანები, რომელსაც მათ აკისრებს სამხედრო მშენებლობა. გამოანალისს წარმოადგენს პროკურატურა, რომელსაც ამ მხრივ აქვს ზოგიერთი წარმატებანი, წოთელარმიელთა ოჯახების სახელმწიფოთა უზრუნველყოფის საქმეშიც უკანასკნელ ხანებში მოღწეულია ზოგიერთი წარმატებანი.

ყველა ზემოხსენებულ დეფექტებზე თათბირმა დაამუშავა პრაქტიკული ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ პარტიისა და მთავრობის დირექტივების გატარებას რევოლიუციონური კანონიერების განმტკიცების დარგში.

განამტკიცოთ სასწავლო დისციპლინა

(სურამის პარტაქტივის კურსებზე)

სურამის პარტაქტივის კურსებზე მეცადინეობა დაიწყო 15 ივნისიდან. ამ კურსებზე სულ არის 11 განყოფილება;

უნდა აღინიშნოს, რომ მსმენელთა ზიმართ მიდგომა არ არის დიფერენციული: მომზადებული და მოუმზადებელი ამხანაგებს ერთნაირად და ერთ ჯგუფში ასწავლიან.

დაცემულია სასწავლო დისციპლინა, რაც იმაში გამოიხატება, რომ ზოგიერთი მსმენელი კურსებზე ხშირად 3—4 დღეობით არ ცხადდება, რის გამოც მათ პასუხს არავინ სთხოვს.

სასადილოში არ არის დაცული სანიტარული პირობები, მსმენელებს რამოდენიმე საათით უხდება რიგში დგომა კერძის მიღებისათვის.

აქვე უნდა ითქვას, ისიც, რომ მსმენელებს შორის არ არის გამოყენებული სოციშეჯიბრება - დამკვრელობა და ჩამორჩენილთა სახოგადოებრივ ბუქსირზე აყვანის პრაქტიკა.

საჭიროა ამ დეფექტების გამოსწორებას სასწრაფოდ მიექცეს სერიოზული ყურადღება. სურამის პარტაქტივის კურსებზე სასწავლო დისციპლინა თავის სიმაღლეზე უნდა იქნას დაყენებული.

ნ. ზავრიაშვილი.

მეორე ხუთწლიანი გეგმის მასიური დამუშავების მიმდინარეობის შესახებ

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის სამდივნოს დადგენილება

თბილისის კომიტეტის სამდივნო, რომელმაც მოისმინა საქართველოს პროფსაბჭოს მოხსენება მეორე ხუთწლიანი გეგმის მასიურ დამუშავების მიმდინარეობაზე თბილისში, აღნიშნავს მუშებისა და საინჟინრო ტეხნიკური მუშაკების ფართო მასების არასაკმაოდ ჩაბმას მეორე ხუთწლიანი გეგმის შესაგებად წარმოებულ მუშაობაში, რის გამო ამჟამად არ არის უზრუნველყოფილი გეგმის წინასწარი ვარიანტის ფართოდ განხილვა ყველა საწარმოებში და მუშათა წინადადებების შეგროვება მეორე ხუთწლიანი გეგმის ფონდში.

მეორე ხუთწლიანი გეგმის მასიური დამუშავების გაშლაში გადამწყვეტი გარდატეხის მოსდენის მიზნით, თბილისის კომიტეტი წინადადებას იძლევა:

1. დაევალოს საქართველოს მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატს, მსუბუქი მრეწველობის სახ. კომისარიატს, მთამრეწველობის სახალხო კომისარიატს და სახელმწიფო საგეგმო კომისიას — მეორე ხუთწლიანი გეგმის პირველი ვარიანტი თბილისის სამრეწველო საწარმოებს გაანაწილონ არა უგვიანეს 2 აგვისტოსა.

2. პარტიის რაიონულმა კომიტეტებმა და კომკავშირის რაკომებმა, საქართველოს პროფსაბჭოს ფრაქციამ, პროფკავშირების ცენტრალურ გამგეობათა ფრაქციებმა, საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიამ და თბილისის საგეგმო კომისიამ უზრუნველჰყონ მუშათა მასების და საინჟინრო-ტეხნიკური მუშაკების აქტიური მონაწილეობა მეორე ხუთწლიანი გეგმის განხილვაში, რათა არა უგვიანეს ა.-წ. 15 აგვისტოსა, შეზღუდვ წინადადებათა სრული გამოკვლევის საფუძველზე, შეჯამებულ იქნას გეგმის პირველ ვარიანტზე შეტანილი ყველა კონკრეტული დამატებანი და ცვლილებანი და მუშაობის შეუწყვეტლად შემდეგშიაც გაგრძელდეს მუშებისა და საინჟინრო-ტეხნიკურ მუშაკების წინადადებათა შეგროვება იმ მიზნით, რომ მიღებულ იქნას ისინი მხედველობაში მეორე ვარიანტის შედგენის დროს.

3. გეგმის განხილვის დროს მთავარი ყურადღება მიექცეს: ა) წარმოების სიდიდეს, ბ) დაბანებულ კაპიტალის რაოდენობას, გ) არსებული მოწყობილობის მაქსიმალურ გამოყენებას და დ) მრეწველობის სხვა ტოტებთან (შრომის, თვითმღირებულების და კულტურულ- საყოფაცხოვრებო მომსახურების) წარმოებული.

4. მეორე ხუთწლედის გეგმების მასიური დამუშავების დროს ყველა ორგანიზაციებმა უნდაონ, რომ თავიანთი საწარმოს გავრცობაზე პერსპექტივები კომპლექსურად დაუკავშირდეს საქართველოს და მთელი ამიერ-კავკასიის სახალხო მეურნეობის გეგმას, რისთვისაც წინადადებას იძლევა: საქართველოს სახალხო მეურნეობის გეგმის პირველი ვარიანტი თბილისის სამრეწველო საწარმოებს გააცნონ არა უგვიანეს 2 აგვისტოსა.

5. პარტიის რაიონულმა კომიტეტებმა და კომკავშირის რაკომებმა, საქართველოს პროფსაბჭოს ფრაქციამ, პროფკავშირების ცენტრალურ გამგეობათა ფრაქციებმა, საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიამ და თბილისის საგეგმო კომისიამ უზრუნველჰყონ მუშათა მასების და საინჟინრო-ტეხნიკური მუშაკების აქტიური მონაწილეობა მეორე ხუთწლიანი გეგმის განხილვაში, რათა არა უგვიანეს ა.-წ. 15 აგვისტოსა, შეზღუდვ წინადადებათა სრული გამოკვლევის საფუძველზე, შეჯამებულ იქნას გეგმის პირველ ვარიანტზე შეტანილი ყველა კონკრეტული დამატებანი და ცვლილებანი და მუშაობის შეუწყვეტლად შემდეგშიაც გაგრძელდეს მუშებისა და საინჟინრო-ტეხნიკურ მუშაკების წინადადებათა შეგროვება იმ მიზნით, რომ მიღებულ იქნას ისინი მხედველობაში მეორე ვარიანტის შედგენის დროს.

6. შეტანილ იქნას შესაბამისი ცვლილება თბილისში მოწვეულ იქნას არა უგვიანეს 15 აგვისტოსა თბილისის საწარმოო კონფერენცია.

7. მეორე ხუთწლიანი გეგმის პოპულარიზაციის მიზნით, წინადადება მიეცეს:

ა) საქართველოს პროფსაბჭოს და პროფკავშირების ცენტრალურ გამგეობებს გამოსცენ პლაკატების, ლოზუნგების და დიაგრამების გამოშვება; ეს მუშაობა დამთავრდეს არა უგვიანეს 7 აგვისტოსა.

ბ) მუშათა კლუბების გამგეობებმა გააცნობიერონ თავიანთი მუშაობა, კლუბების მუშაობა უნდა სწარმოებდეს იმგვარად, რომ მან ხელი შეუწყოს მეორე ხუთწლიანი გეგმის მასიურ დამუშავებას.

გ) განათლების სახალხო კომისარიატის ხელმძღვანელობა თავადმა სამმართველომ და საქფილიმა მეორე ხუთწლიანი გეგმის პოპულარიზაციისთვის გამოიყონონ საზაფხულო კლუბების და ბაღების ტერასები.

დ) საქართველოს სახკინემატოგრაფიის ტრესტმა გამოუშვას ფილმები: „პლაკატები და ქრონიკა", იმ მიზნით, რომ აჩვენოს ისინი მასიურ მაყურებლებს.

8. თბილისის ხაბჭო და რაიონული საბჭოები ჩაებან მეორე ხუთწლიანი გეგმის მასიურ დამუშავებაში და შეადგინონ მთავარ საწარმოების მიერ გეგმების განხილვაში მიერ გეგმების დამუშავებასა და განხილვაში. მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტმა და ა.-ხ. ეკონომიკის ინსტიტუტმა გამოყონ ამ მიზნით სამეცნიერო და სამეცნიერო-საგამოგადა.

9. კომკავშირის თბილისის კომიტეტმა შეიმუშაოს მეორე ხუთწლიანი გეგმის მასიური დამუშავებისათვის ორგანიზებები გატარეს მუშათა მომარაგების გასაუმჯობესებლათ და საგარეუბნო მეურნეობების მოსაწყობათ; ხელშეწყობა კომკავშირებმა ბოსტნეულის ფერმების მოწყობაში საწარმოს სურსათ-სანოვაგით და ბოსტნეულით მომარაგების შესახებ; მუშათა საბინაო პირობები; კულტმომსახურების დაწესებულებათა (კლუბი, ბიბლიოთეკა, პროფტეხპროპაგანდა და სხვ.) საქმიანობა.

სამეურნეო ანგარიშის განხორციელების დარგში — მთელი კონტროლი ჭარხლის: შენ-საქარხლო მომარაგების საქმის მდგომარეობა (არის თუ არა საწყობები, აქვთ თუ არა ხიდლეულის მარაგი და სხვ.) სააღრიცხვო საქმიანობის წესები; საწარმოების ბუნკერებზე 31 ივლისს ჩასხმული 18 კუბომეტრი ბეტონი. ვაწერო ლიანდაგიან რკინის გზის სამუშაოებზე 28, 29, და 31 ივლისს მოკრილია 96 კუბომეტრი მიწა.

ყველა ამ ღონისძიებების გატარებაში მთელი თბილისის საწარმოო კონფერენციის მოწვევამდე ჩაებან მეორე ხუთწლიანი გეგმის მასიურ დამუშავებაში და ყველა საწარმოებში ჩატარდეს ცალკე კონფერენციები.

10. საქართველოს პროფსაბჭომ, საქართველოს სამეცნიერო მუშაკთა კავშირის მეშვეობით, მობილიზაცია უყოს რაკომებსა და პროფორგანიზაციების დასახმარებლად 50 სამეცნიერო მუშაკს და ასპირანტს, რათა მათ უშუალო მონაწილეობა მიიღონ სამრეწველო საწარმოთა მეორ გეგმების დამუშავებასა და განხილვაში. მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტმა და ა.-ხ. ეკონომიკის ინსტიტუტმა გამოყონ ამ მიზნით სამეცნიერო და სამეცნიერო-საგამომკვლევო დარგის მუშაკების ორ-ორი ბრიგადა.

11. აღინიშნოს პრესის სუსტი მონაწილეობა მეორე ხუთწლიანი გეგმის 1-ლი ვარიანტის მასიურ დამუშავებაში და წინადადება მიეცეს „კომუნისტი"-ს, „პროლეტარ"-ის, „ენე-კენე"-ს და „ტიფლისკი რაბოჩი"-ს რედაქციებს დაუყოვნებლივ გაუშალონ მუშაობა მუშათა მასებში, საინჟინრო-ტეხნიკური მუშაკების და აგრეთვე საბაჭოკო-საქარხნო პრესის დასარაზმავად მეორე ხუთწლიანი გეგმის შედგენასთან დაკავშირებულ კონკრეტულ ამოცანების გარშემო.

12. თბილისის კომიტეტის აგიტაციისა და მასიური მუშაობის განყოფილებამ თვალყური მიადევნოს ამ დადგენილების შესრულებას.

ერეკვნული დაბეჭდილია

კონკურსი

ამხ. სტალინის ექვსი მითითების საუკეთესოდ შესრულებაზე მძიმე მრეწველობაში

გავმალოთ სამხადისი კონკურსში მძიმე მრეწველობის ყველა საწარმოთა ჩასაბმელათ

კონკურსში ჩაბმით გავაჯანსაღებთ საწარმოების მუშაობას

მძიმე მრეწველობის საწარმოებში ამხ. სტალინის 6 ისტორიული მითითების საუკეთოდ შესრულებაზე გამოცხადებული კონკურსის მნიშვნელობის შესახებ, მძიმე მრეწველობის კომისარიატის წარმოუდგენლად ამიერ-კავკასიაში ამხ. ი. ფელიქსის ჩვენს თანამშრომელთან საუბარში ჩვენს ორგანიზაციებს შორის არ არის გამოყენებული სოციალისტური შეჯიბრება და დამკვრელობა, ცალკე ამხანაგების მიერ აღგილი აქვს შეცდომებსაც სისტემატიური დაგვიანებისა და დაუსწრებლობის მასიურ შემთხვევებს, ალრიცხვები თორმალურად ტარდება, რასაც დროზე უნდა მიეკვეს ყურადღება.

ვ. ჯიმშელეიშვილი.

ამხ. სტალინის ექვსი მითითების საუკეთოდ შესრულებაზე მძიმე მრეწველობის საწარმოებში ჩაბმულ იქნა 15 ათასზე მეტი მუშა და მოსამსახურე. ამ ბრძოლაში ამიერ-კავკასიაში ჩვენ საკმაოდ დაწინაურებული ვართ. საკავშირო კონკურსთან ერთად ჩვენ გადავსწყვიტეთ ჩვენ ტაბაურთან მძიმე მრეწველობის საწარმოთა ა.-კ. კონკურსიც. ამ ორი კონკურსის პირველ ეტაპზე ჩვენ საშუალებას მოგვცეს მეტი საწარმოები ჩავაბათ მათში და მაშასადამე, მეტ საწარმოებში უზრუნველვყოთ სტალინის 6 პირობის შესრულება და ამით მომლონარე წლის პირველ ნახევარში მძიმე მრეწველობამ მოგვცა 19 პროც. ზრდა. ეს მაინც არ უზრუნველყოფს მომდინარე წლის გეგმების შესრულებას. განვლილ ორ კვარტალში საერთო პროდუქციის გამოშვების მხრივ ა.-კ. მძიმე მრეწველობა ჩამორჩა 20 პროცენტით. ეს ჩამორჩენა, რა თქმა არ უნდა დაგვიფიქრდეს, უნდა დაიფაროს მესამე კვარტალის განმავლობაში.

ჩამორჩენის მიზეზები ცნობილია. ეს მიზეზები გამოწვეულია იმით რომ ჩვენმა საწარმოებმა ვერ შეასრულეს გეგმა დღის 6 მითითების ზუსტად შესრულება, ხოლო იქ, სადაც ეს მითითებები შესრულებულია—საწარმოო გეგმებიც გადაჭარბებით სრულდება. მძიმე მრეწველობაში გამოცხადებულ კონკურსის ძირითად დანიშნულებად მდგომარეობს არსებული ზომრჩენების დაფარვის უზრუნველყოფაში.

**სა

სალეწი მანქანები

მოსავლის ალება ვამუშაოთ დღე-ღამის განმავლობაში

კოლმეურნეობები მაგალითს იძლევიან

(ზარე-კახეთი, საკ. კორ.)

არე-კახეთის რაიონში პურის დამზადების გეგმების დაყვანა დამთავრდა 25 ივლისს, რის შემდეგ დაიწყო პურის დამზადება. ივლისის თვეში რაიონში უნდა დამზადებულიყო პური სულ 1000 ფუთი. აქედან კოლმეურნეობების ხვედრითი 200 ფუთი. ფაქტიურად 30 ივლისისათვის დამზადებული იყო 1092 ფუთი, აქედან კოლმეურნეობების ხვედრითი 272 ფუთი.

პურის დამზადების გეგმას გადაჭარბებით ასრულებენ სოფ. მანავის კოლმეურნეობები, (ამხ. ვოროშილოვის სახელობის, „გლეხის ნამოვალი“, ფ. მახარაძის სახელობის, „მომავლის სხივი“ და სხვ.) რომლებსაც გეგმით უნდა ჩაებარებიათ 50 ფუთი პური, ფაქტიურად კი ჩააბარეს 162 ფუთი. სოფ. სართიჭალის კოლმეურნეობამ („პროგრესი“) დამამზადებელ პუნქტს ჩააბარა ნაცვლად 20-სა 52 ფუთი პური.

ჩაბარების გეგმა 100 პროც. შეასრულა სოფ. პატარძეულის კოლმეურნეობამ.

კოლმეურნეობებს პურის დამზადებაში არ ჩამოუარდებიან ღარიბი და საშუალო გლეხები, რომლებმაც დღემდე სახელმწიფოს ჩააბარა 635 ფუთი პური. მტკიცე დავალებით 30 ივლისამდე დამზადებული იქნა 85 ფუთი.

უნდა აღინიშნოს, რომ სათანადოთ ვერ მუშაობს პურის დამამზადებელი ორგანიზაცია, პუნქტები არ არიან მიმაგრებული საჭირო ტომრებით და სხვ. რაც ხშირად იწვევს შეფერხებას.

ბ. გვარამია.

2000 ფუთი პური ქვემო-ჭალიდან

კასპის რაიონში პურის დამზადების ტემპები დღითი-დღე ძლიერდება, ადგილებიდან დაძრულ წითელი ჭარავნები.

29 ივლისს სოფ. ქვემოჭალიდან რაიონში მოვიდა 40 ურემი, რომელთაც მოიტანეს ჩასაბარებლად 2.000 ფუთი პური.

ალებული ტემპები მოწმობენ, რომ პურის დამზადების კამპანია კასპის რაიონში ადრე დამთავრდება.

დ. ჩილაჩავა.

112 პროცენტით

(თბილ. გარეუბნის რაიონი)

მიმდინარე წელს თბილისის გარეუბნის რაიონში პური გეგმით დამზადებული უნდა იქნას 900 ფუთი, აქედან ივლისის თვეში უნდა დამზადებულიყო 610 ფუთი. ფაქტიურად რაიონიწყვანის ცნობით 28 ივლისისათვის დამზადებული იყო 652 ფუთი, რაც გეგმის 112 პროცენტს შეადგენს. სახ. საბჭოების ხაზით პურის დამზადების გეგმა შემდეგ სურათს იძლევა: მარტყოფს დამზადებული ჰქონდა 200 ფუთი, თელეთს 250 ფ. ლილოს 100 ფ., კუმისს 60 ფ. და ავჭალას 45 ფ. პურის დამზადებაში წინ მიდიან თელეთის, მარტყოფის და ლილოს სახმფლ საბჭოები, რომლებმაც ივლისის თვეს გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს.

საჭიროა პურის დამზადებაში ჩამორჩენილმა სოფლებმა მიბაძონ მოწინავე სოფლებს და მათი გამოცდილებით, ფართო გამოყენებით დროულად და გადაჭარბებით შეასრულონ პურის დამზადების გეგმები.

მ. ტაბიძე

რაიმიწგანი და კოლმეურნკავშირი განზე დგას

(გურჯაანის რაიონი)

გურჯაანის რაიონის პარტიულ. საბჭოთა და საკოლმეურნეო ორგანიზაციები ჩაუდგნენ სათავეში მოსავლის აღების კამპანიას, რის შედეგად პურის, ქერის და თივის აღება გაცხოველებით მიმდინარეობს.

